ვასილ მახნოს „ლექსები ომის შესახებ“

“POEMS ABOUT WAR” BY VASIL MAKHNO

სოფიო ჩხატარაშვილი

Sophio Chkhatarashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ვასილ მახნო, ომი, უკრაინა
Keywords: Vasil Makhno, war, Ukraine

ომის თემატიკა ლიტერატურაში უცხო და უჩეულო ალბათ არცერთი ქვეყნის მაგალითზე არ ყოფილა, მათ შორის, არც უკრაინის გამოცდილებაა გამონაკლისი. უამრავი ლექსი თუ პოემა, მოთხრობა თუ რომანი დაიწერა პირველი და მეორე მსოფლიო ომების შესახებ და ვინ იფიქრებდა, რომ თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურაში ომის თემატიკა წამყვან ადგილს დაიკავებდა... როგორც ყოველთვის, პოეზიამ ახლაც აირეკლა მიმდინარე მტკივნეული საკითხები და სხვადასხვა პოეტთა თვალით დანახული და ემოციებით აღქმული რეალობა აღგვიწერა.

ნიუ-იორკში მცხოვრებმა უკრაინელმა მწერალმა და პუბლიცისტმა, ვასილ მახნომ ოცამდე ლექსი უძღვნა ამ თემას და ციკლის სახითაც კი გამოსცა „ლექსები ომის შესახებ“.

ვასილ მახნოს ლექსები ომის შესახებ სათაურითვე იქცევს მკითხველის ყურადღებას: „ომი“, „სამშობლოსადმი“, „გასასვლელი“, „შევჩენკო“, „მარიუპოლიდან“, „სევდის ფსალმუნი“, „ბუჩის ფსალმუნი“, „მტრედების ღუღუნი დილით“ შექმნილია სამშობლოში მიმდინარე კატასტროფაზე. ლექსებში შესამჩნევია ისტორიული, კულტურული თუ რელიგიური მოტივები, და ბუნებრივია, ყოველი მათგანი მხატვრული ხერხების სიჭარბითა და მძაფრი ემოციური მუხტით გამოირჩევა.

ავტორი დოკუმენტური სიცხადით აღწერს მარიუპოლის მისადგომებთან მომხდარ ბრძოლას, ადამიანების სასოწარკვეთას, დანგრეულ სახლებს, იმავდროულად, იხსენებს ტარას შევჩენკოს, აცოცხლებს მის ძეგლს, რომელიც კიევში, უნივერსიტეტის წინ, კვარცხლბეკზე, ამაყად და უკრაინელ ვაჟკაცთა საიმედოდ დგას და გამოსახავს მას რიგით ჯარისკაცად, რომელიც მკერდით დაიცავს საკუთარ სამშობლოს და ზურგს გაუმაგრებს ბრძოლასა და გასაჭირში. ბუჩას არქმევს ტკივილისა და შიშის ქალაქს და სვამს კითხვებს: როდის დამთავრდება ეს ყველაფერი? რა იქნება მომდევნო თვეებში? ქალაქები ისევ ცეცხლის ალში ხომ არ გაეხვევა? სად შეიძლება ნუგეშის პოვნა?

აღსანიშნავია, რომ ვასილ მახნოს ლექსები ომის საკითხის ესთეტიზაციისკენაა მიმართული და ამ თვალსაზრისით ალბათ მნიშნელოვან როლს შეასრულებს უკრაინული ლიტერატურის ისტორიაში. ეს არის პოეზია სიკვდილისა და სიცოცხლის, სიკეთისა და ბოროტების, მათი გადაკვეთის შესახებ და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ რაც უფრო რთულია ყოფა, რაც უფრო მტკივნეულია მიმდინარე მოვლენები, მით უფრო ცხადი ხდება, თუ რა უსასრულოა ლიტერატურის შესალებლობები.

The topic of war in the literature has probably not been foreign and neglected on the example of any country, including the experience of Ukraine. A lot of poems, short stories and novels were written about the First and Second World Wars, and who would have thought that the theme of war would take the leading place in modern Ukrainian literature... As always, poetry reflected current painful issues and described the reality seen through the eyes of different poets and perceived by emotions.

Vasyl Makhno, a Ukrainian writer and publicist living in New York, dedicated about twenty poems to this topic and even published “Poems about War” in the form of a cycle.

Vasil Makhno’s poems about war attract the reader’s attention by their titles: “War”, “To the Motherland”, “Exit”, “Shevchenko”, “From Mariupol”, “Sadness Psalm”, “Bucha’s Psalm”, “Morning Doves’ Cooing” are created about the current disaster in the homeland. Historical, cultural or religious motifs are noticeable in the poems, and naturally, each of them is distinguished by an abundance of artistic techniques and intense emotional charge.

The author describes with documentary clarity the battle that took place on the approaches to Mariupol, the despair of people, the destroyed houses, at the same time he remembers Taras Shevchenko, brings to life his monument, which stands proudly on a pedestal in front

of the university in Kyiv and is a reliable source of Ukrainian bravery, and portrays him as an ordinary soldier who will defend his homeland with his chest and strengthen his back. in battle and tribulation. Bucha calls it a city of pain and fear and asks: when will it all end? What will happen in the coming months? Will the cities go up in flames again? Where can you find solace?

It should be noted that Vasyl Makhno's poems are aimed at the aestheticization of the issue of war, and from this point of view it will probably play a significant role in the history of Ukrainian literature. This is poetry about death and life, good and evil, their intersection, and once again confirms that the more difficult the existence, the more painful the current events, the more clear the infinite possibilities of literature.